ხელშკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N სშ/19-185

ქ. ბათუმი 2019 წელი

ერთის მხრივ **შპს „სანდასუფთავება“** (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დუმბაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „შპს გეპა“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა პატარაიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე–2 მუხლის, ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის კუთვნილი **კომპიუტერული აქსესუარების მიწოდება, კერძოდ :**

№	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი ღირებულება
1	WiFi წვდომის წერტილი 2.4 Ghz 5 GhzUniFi AP AC LITE	1	314	314
2	ოპერატიული მეხსიერება (DDR3)ADATA DDR3 4GB	2	90	180
3	ოპერატიული მეხსიერება (DDR4) DDR4 DIMM 288pin/ Kingston DDR4 4GB	3	77	231
4	მყარი დისკი (SSD) 240 GBKingston A400 SATA 3 2.5 Solid State Drive SA400S37/240GB	5	127	635
5	კვების ბლოკი სისტ. ბლოკისთვისPH-230RNF, ITD, Power Supply, 418W 1*20+4Pin,1*4Pin P4MB,2*HDD,2*Sata,1*FDD,1*8cm black fan TRAY	4	38	152
6	ქულერი (1151 სოკეტი)	5	12	60
7	USB ფლეშ-მეხსიერება 128 GBUSB მეხსიერება AUV150-128G-RBK ADATA USB 3.1 Snap-on Cap Flash Drive, Black (AUV150-128GRBK)	1	77	77
8	მაუსიმაუსიDX-120 Black, Genius Optical Mouse, USB	10	12	120
9	ხმამაღლამოლაპარაკე SP-L160 Black, Genius 220v	2	45	90
	სულ თანხა (დღგ-ს ჩათვლით)			1859

კლასიფიკატორი – **CPV30200000.**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1859** (ათასრვაასორმოცდაცხრამეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს დღგ–სა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, შესაბამისი სააანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველის მხრიდან საქონელის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია შპს ,,სანდასუფთავების“ მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი – დავით დევაძე.
4.3. საქონელის მიწოდების ვადაა არაუმეტეს 5 დღე ხელშეკრულების გაფორმებიდან.

5. მხარეთა უფლება–მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია საქონლის ხარისხსა და მიწოდების დროულობაზე.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას მიწოდებული საქონლის ღირებულება.

6. თანმდევი მომსახურება

6.1. თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შპს ,,სანდასუფთავების“ მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი – დავით დევაძე.
7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
8.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. დაუძლეველი ძალის პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.02 % ოდენობით.
9.2 თუ ვადაგადაცილება ხელშეკრულებით განსაზღვრულ, საქონლის მიწოდების ვადას 10 დღით გადააჭარბებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით.
9.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. გამოყენებული სამართალი

12.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
შპს ,,სანდასუფთავება“	შპს ,,გეპა“
მის: ქ. ბათუმი,	მის: ქ. ბათუმი,
ჯავახიშვილის ქუჩა #55	ჭავჭავაძის ქ.90
ს/კოდი 245548153	ს/კოდი 445506587
სს ,,საქართველოს ბანკი“	სს ,,პროკრედიტ ბანკი“
ბ/კოდი: BAGAGE22	ბ/კოდი: MIBGGE22
ა/ა GE57BG0000000524452400	ა/ა GE92PC0033600100053916
შპს ,,სანდასუფთავება“	**შპს ,,გეპა“**
დირექტორი	**დირექტორი**
დავით დუმბაძე	**გელა პატარაია**
_____	_____

Gela Pataraia

Подписано цифровой подписью: Gela Pataraia
DN: cn=Gela Pataraia, serialNumber=61003002868, o=Citizen, c=GE
Дата: 2019.11.06 17:20:43 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად შპს „სანდასუფთავების“ დირექტორი დავით დუმბაძე და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი დავით დევაძე, რომ შპს ,,გეპა“–სთან, გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №ს/შ19-185, ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

შპს „სანდასუფთავება“-ს დირექტორი

დავით დუმბაძე

შპს ,,სანდასუფთავების“ მატერიალური რესურსების
მართვის სამსახურის უფროსი

დავით დევაძე

Davit Devadze

Подписано цифровой подписью: Davit Devadze
Дата: 2019.11.07 11:33:55 +04'00'